ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3255141

ნომერი: AR1499858

თარიღი : 01.05.2017

გაცემის თარიღი : 17.05.2017

გაცნობის თარიღი : 17.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , შიდა კვარტალში , N101-ე სკოლის მოპირდაპირედ , (ნაკვეთი N21, N22, N20) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა მარგველაშვილი პ/ნ 24001003338
- თბილისი ცხემის ჩიხი N 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1499858 ელექტრონული განაცხადი, ქ. თბილსში, 01.14.03.042.126 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 23 დეკემბერს #1655468 გადაწყვეტილებით ქ. თბილსში, 01.14.03.042.126 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 26 მარტის #14 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 3 აპრილის #1834 ბრძანების საფუძველზე, ქ. თბილსში, 01.14.03.042.126 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=2,3-ით. (სამსახურის 16.04.2015წ. #1815205 წერილი)

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2016 წლის 5 მაისის #24 სხდომის წევრთა დადებითი რეკომენდაციის და ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 13 მაისის #1-797 ბრძანების საფუძველზე ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მომატების საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და აღნიშნული მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 2.6-ით. (სამსახურის 20.05.2016წ. #2592180 წერილი)

2016 წლის 19 ივლისს #2722308 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.12.2014 წ. #1655468 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ამბულატორია.

2016 წლის 27 ოქტომბერს #2913560 ბრძანებით ქ. თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი , N34 , შიდა კვარტალში , N101-ე სკოლის მოპირდაპირედ , (ნაკვეთი N21, N22, N20), სააქვიო საზოგადოება "კურაციო"–ს ასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.03.042.126) შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. 2016 წლის 01 დეკემბრის #2973629 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (საქმის N3/5567-15 29.03.2017წ.) გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 3 აპრილის #1834 და 2016 წლის 13 მაისის #1-797 ბრძანებები, ხოლო სამსახურის აქტები დარჩა ძალაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.